გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №12

ქ. გარდაბანი **26 დეკემბერი 2025 წელი 11[00] სთ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა: **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური**

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 6 წევრი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამირ ხიალოვი;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -ლევან ნიჟარაძე;
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე;
5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე- ოთარ გავაშელიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი-ფიქრია ქარუმიძე.

დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ფიქრია ქარუმიძე***
თანამომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხარძიანი***
თანამომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ჯაბა დვალიძე***
თანამომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

5. „საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***გიორგი გურულიშვილი***

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავითი ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

11. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს საკითხების განსახილველად გამოტანა სთხოვა დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელმა-ფიქრია ქარუმიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** და განმარტა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს დეტალურად გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 2

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო

ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას და დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ და განმარტა, რომ „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაიზარდა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რამაც 2026 წლის 01 იანვრიდან შეადგინა 1600 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილებას საჭიროებს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილება.

დადგენილების პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გაზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 3

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა

და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი-თამარ ხარძიანი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას და დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ და განმარტა, რომ „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაიზარდა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რამაც 2026 წლის 01 იანვრიდან შეადგინა 1600 ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილებას საჭიროებს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილება.

დადგენილების პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გაზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჯაბა დვალიძე, არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, შესაბამისად, დადგენილების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ** ბიუროს წევრებს წარუდგინა თანამომხსენებელმა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, მანვე განმარტა, რომ დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის „ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის“ დებულების შესაბამისად.

ყოველწლიურად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ასევე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება მომდევნო საანგარიშო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამები განსახილველად და დასამტკიცებლად. 2025 წელს მუნიციპალიტეტში მოქმედებდა საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული 25 ქვეპროგრამა, რომელთა განხორციელება კვლავ იგეგმება 2026 წელს.

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის (მე-4 მუხლი) შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების ხელშეწყობის უწყვეტობის მიზნით, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილების ქვეპროგრამებისა და შესაბამისი პროგრამული კოდების თანახმად, გაცემული ადმინისტრაციული დაპირებისა და წარმოდგენილი შესრულებული სამუშოს დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გარდაბნის

მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2025-2026 წლებში მიღებული გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის შესახებ, დაფინანსდება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრული პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისი კოდებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

დადგენილების პროექტის მიზანი:

დასამტკიცებლად წარმოდგენილი 2026 წლის სოციალური პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები მოსარგებლეები/მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები), ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის შესაბამისი მომსახურებების მიწოდების მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“** დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 5

„საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა, საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ - გიორგი გურულიშვილმა, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების**

განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 2025 წლის 10 ოქტომბრის N85 განკარგულებით დაამტკიცა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულება.

2025 წლის 15 ოქტომბერს მხარეებს შორის დამატებით გაფორმდა N1 შეთანხმება, რომლის თანახმად ცვლილება შევიდა აღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს N1 შეთანხმების იმავე წესით დამტკიცება საკრებულოს მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ** განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 6

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ“** და განმარტა, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტებს შორის, სადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ნესტორ ხერგიანმა (პ.ნ. [redacted] 73 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა I საპრიზო ადგილი.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ნესტორ ხერგიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 4 000 (ოთხი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ“** განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 7

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავითი ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავითი ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ“** და განმარტა, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ძიუდოისტმა

დავით ლორიაშვილმა (პ.ნ [redacted] +100 კგ. წონით კატეგორიაში და დაიკავა I საპრიზო ადგილი.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - დავითი ლორიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 4 000 (ოთხი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავითი ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ“** განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 8

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“** და განმარტა, რომ 2025 წლის 1-6 ნოემბერს საფრანგეთში (ქ.პარიზი) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან ძიუდოისტებს შორის, სადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ბადრი ბედიანაშვილმა (პ.ნ [redacted] 60 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა III საპრიზო ადგილი.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ბადრი ბედიანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2 000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“** განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 9

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას და განკარგულების პროექტი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ და განმარტა, რომ პროექტის თანახმად 2026 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმიური საკითხების განხილვა:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია- გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია - განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის 2026 წლის სამუშაო გეგმის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“** საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

საკითხი 10

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ

და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ2" პუნქტის შესაბამისად, ბიურო ცნობად იღებს მუნიციპალი

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას და საკითხი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ** ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, მანვე განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, 2025 წლის 24 დეკემბერს დარეგისტრირდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წერილი №19-192535811, სადაც ფრაქცია წარმოადგენს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობებში შესატან ცვლილებებს, კერძოდ: საკრებულოს წევრმა - ილხამ ბაირამოვმა დატოვა სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა და მისი კანდიდატურა წარმოდგენილი იქნა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შესაყვანად, ასევე საკრებულოს წევრის - ანა დადეშქელიანის კანდიდატურა წარმოდგენილი იქნა საკრებულოს შემდეგ მუდმივმოქმედ კომისიებში სამუშაოდ - სოციალურ საკითხთა კომისიასა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ2" პუნქტის შესაბამისად, ბიურო ცნობად იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილ ცვლილებებს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობა:

1. დავით ჭინჭარაული;
2. ვუგარ მამედოვი;
3. თორნიკე ქავთარაძე;
4. ნიჩატ ისმაილოვი;

5. შახადატ მეხრალიევი;
6. გუსეინკულუ მუსაევი;
7. იოსებ ძამნაშვილი;
8. ზვიადი ქართლოსიშვილი;
9. საბაილ მამედოვი;
10. ილხამ ბაირამოვი;
11. არაზ ვალიევი;
12. ოთარ გავაშელიშვილი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა:

1. ლევანი ნიჟარაძე;
2. სამირ ხიალოვი;
3. ზაზა ონიანი;
4. დავით ებილაშვილი;
5. თორნიკე ქავთარაძე;
6. ლაშა ქართლოსიშვილი;
7. ისლამ მამედოვი;
8. გუსეინკულუ მუსაევი;
9. ქართლოსი მამულაძე;
10. ლევანი ბეგლარიშვილი;
11. ხვიჩა ჩიტაშვილი;
12. ილხამ ბაირამოვი;
13. ზაქირ დაშდამიროვი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა:

1. გიორგი გურულიშვილი;
2. ვუგარ მამედოვი;
3. ბეთქილ კახიანი;
4. შახადატ მეხრალიევი;
5. ისლამ მამედოვი;
6. იუსუფ მელაძე;
7. არკადი ფანგანი;
8. საბაილ მამედოვი;
9. გიორგი გამეზარდაშვილი;
10. ზვიადი ქართლოსიშვილი;
11. ლია მეტრეველი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1. თამარ ხაჩიძე;

2. დავითი ებილაშვილი;
3. მირზა მირზოევი;
4. კამრან ბაბაევი;
5. ფლორა ასკაროვა;
6. იუსუფ მელაძე;
7. არკადი ფანგანი;
8. ქართლოსი მამულაძე;
9. ხვიჩა ჩიტაშვილი;
10. გიორგი გამეზარდაშვილი;
11. ანი მანჩხაშვილი;
12. ანა დადეშქელიანი;
13. ლია მეტრეველი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

1. ზურაბი ბენდელიანი;
2. სამირ ხიალოვი;
3. მირზა მირზოევი;
4. ანი მანჩხაშვილი;
5. ლაშა ქართლოსიშვილი;
6. ლევან ბეგლარიშვილი;
7. კამრან ბაბაევი;
8. ბეთქილი კახიანი;
9. იოსებ ძამნაშვილი;
10. ნიჩატ ისმაილოვი;
11. არაზ ვალიევი;
12. ანა დადეშქელიანი;
13. ზაქირ დაშდამიროვი.

ბიურომ მოისმინა და მიიღო ცნობად საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები,

საკითხი 11

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების**

შესახებ“ და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ დეკემბრის თვის ხარჯები, რომლის ოდენობას წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განსაზღვრავს თვითონ საკრებულო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –7
წინააღმდეგი – 0

ბიურომ დაადგინა:

დამტკიცდეს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევიდეს ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი შემდეგი პროექტები:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხარძიანი***
თანამომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ჯაბა დვალიძე***
თანამომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

5. „საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***გიორგი გურულიშვილი***

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნესტორ ხერგიანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის დავითი ლორიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: ***თამარ ხაჩიძე***

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ***ზურაბ ბენდელიანი***

10. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ***ლევან ნიჟარაძე***

სხდომის თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**

საქართველო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო * 226573204 *